

შესავალი

წინამდებარე გზამკვლევი მომზადდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დაკვეთითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და რესურსების შეფასების სამმართველოს საგნობრივი ექსპერტების ჩართულობით.

ქვემოთ წარმოდგენილია 5 გზამკვლევი: *კომუნიკაცია, მათემატიკური წიგნიერება, მეცნიერება, მოქალაქეობა და მეწარმეობა*. მათი მიზანია პედაგოგებს ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაში მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების მოთხოვნების შესაბამისად.

ყველა მათგანი ორი ნაწილისგან შედგება:

I ნაწილი. სასწავლო პროცესის დაგეგმვა - პირველ ნაწილში მოცემულია რჩევები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს სასწავლო პროცესი. აქ სამ სასწავლო წელზე გადანაწილებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში შემოთავაზებული სარეკომენდაციო თემები და საკითხები. თემებისა და საკითხების ამგვარ გადანაწილებას ცხადია სარეკომენდაციო ხასიათი აქვს.

აქვე მოცემულია მატრიცები, რომელთა პედაგოგებსა და სკოლებს **სასკოლო კურიკულუმების** აგებაში დახმარებათ. სასკოლო კურიკულუმი (სასკოლო სასწავლო გეგმა) არის დოკუმენტი, რომელიც აჩვენებს თუ რას აკეთებს ესა თუ ის სასწავლებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების მოთხოვნების პრაქტიკაში რეალიზებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების მოთხოვნები (მიზნები, შედეგები, შესრულების კრიტერიუმები და სხვა) ყველა პროფესიულ სასწავლებელს ეხება, თუმცა, ამ მიზნების მიღწევა სხვადასხვა გზით შეიძლება. ბუნებაში მათი რეალიზების იმდენი გზა შეიძლება არსებობდეს რამდენიც პროფესიული სასწავლებელია. სასკოლო კურიკულუმი სწორედ ამ ორიგინალურ გზას (საგანმანათლებლო სერვისს) ასახავს, რომელსაც ესა თუ ის სკოლა მოსწავლეებს მოდულით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად სთავაზობს.

სასკოლო კურიკულუმი თემების საშუალებით აიგება. თითოეული სასწავლო წელს 3-5 თემის დამუშავებაა რეკომენდირებული. გზამკვლევის პირველ ნაწილში თითოეულ თემასთან მიმართებით შემოთავაზებულია მატრიცა, რომელიც პედაგოგებს საკუთარი ორიგინალური კურიკულუმის განვითარებაში დაეხმარება:

მატრიცის პირველი რეგისტრი (სვეტების - *სამიზნე ცნებები / ქვეცნებები, საკითხი / საკითხები, საკვანძო შეკითხვა / საკვანძო შეკითხვები, შეფასების კრიტერიუმები* საშუალებით) აკონკრეტებს მოდულის მოთხოვნებს ამ კონკრეტული თემისთვის; განსაზღვრავს, თუ რომელ სასწავლო წელს არის რეკომენდირებული მისი სწავლება.

მატრიცის მეორე რეგისტრი ქმნის პლატფორმას სასკოლო კურიკულუმის განსავითარებლად. აქ (**გრაფაში კომპლექსური დავალება/დავალებები**) პედაგოგმა უნდა ჩაწეროს, თუ რა კომპლექსური დავალების/დავალებების შესრულებას ავალებს საკუთარ სტუდენტებს თემის ფარგლებში (ამ დავალებების შესრულება მოსწავლის მხრიდან იმის დასტური იქნება, რომ მან წარმატებით დაძლია მოდულით გათვალისწინებული მოთხოვნები). აქვე (**გრაფაში აქტივობები და რესურსები**) მოცემულია ეტაპები, რომლებიც თემის დამუშავების პროცესში იკეთება საკვანძო შეკითხვების სახით. ამ გრაფაში პედაგოგმა წლის განმავლობაში უნდა ჩაინიშნოს, თუ რას გააკეთებს ამა თუ იმ საკვანძო შეკითხვის პროვოცირებისთვის.

აღსანიშნავია, რომ მეორე რეგისტრში წამოდგენილი გრაფა ივსება არა სასწავლო წლის დასაწყისში, არამედ სასწავლო პროცესის მსვლელობისას. თუკი პედაგოგი ამ გრაფებს წლის განმავლობაში შეავსებს და აქ საკუთარ პრაქტიკაში აპრობირებულ რესურსებს, აქტივობებსა და კომპლექსურ დავალებებს ასახავს ეს ერთი მხრივ სკოლას მისცემს საშუალებას სხვებს აჩვენოს რა სერვისს სთავაზობს საკუთარ მოსწავლეებს, მეორე მხრივ კი თავად მასწავლებელს გაუადვილებს მომდევნო წელს სასწავლო პროცესის წარმართვას.

სწავლა - სწავლების წელი

თემა			
სამიზნე ცნებები / ქვეცნებები	საკითხი / საკითხები	საკვანძო შეკითხვა / საკვანძო შეკითხვები	შეფასების კრიტერიუმები:

აქტივობები და რესურსები	კომპლექსური დავალება/დავალებები
ეტაპი 1. საკვანძო შეკითხვა	
ეტაპი 2. საკვანძო შეკითხვა	
ეტაპი 3. საკვანძო შეკითხვა	

გზამკვლევეების II ნაწილში. მეთოდოლოგიური ორიენტირები - ახსნილია, თუ რას გულისხმობს მოდულით გათვალისწინებული შედეგები; შემოთავაზებულია ტიპური გაკვეთილები და რეკომენდაციები, რაც პედაგოგებს გაკვეთილის ჩატარებაში დაეხმარება; აღსანიშნავია, რომ ამ სცენარებსა და აქტივობებს არ აქვთ მეტისმეტად ზოგადი ხასიათი. ისინი უშუალოდ უკავშირდება იმ თემებსა და საკითხებს, რასაც მოდული პროფესიულ სასწავლებლებს სთავაზობს. საგნებში მეცნიერება და მეწარმეობა, ეს რჩევები უშუალოდ თემატური მატრიცების შემდგომად მოცემული (ანუ ამ საგნებში პირველი და მეორე ნაწილი გაერთიანებული სახითაა მოცემული).

გზამკვლევის მეორე ნაწილში მოცემულ მასალაზე დაყრდნობით პედაგოგებს შეუძლიათ წლის განმავლობაში შეავსონ და განავითარონ საკუთარი კურიკულუმი (ზემოაღწერილი მატრიცების საშუალებით).

გზამკვლევეების შედგენისას გათვალისწინებულია პილოტირების შედეგები და გამოწვევები, რომლის წინაშეც საქართველოს განათლების სისტემა დგას. მათი პრაქტიკაში გამოყენება პედაგოგებს სასწავლო პროცესში გრძელვადიანი მიზნების უკეთ გამოკვეთაში, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში და სასწავლო პროცესის შემოქმედებითად დაგეგმვაში დაეხმარება.